XIV თავი

სტუდენტის წახალისება და დისციპლინური საქმისწარმოება

ბსუ-ს სტუდენტის წახალისებისა და დისციპლინური საქმისწარმოების რეგულაცია განსაზღვრულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ' საქართველოს კანონის 43-ე მუხლით, „ბსუ-ს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 6)** და ბსუ-ს ეთიკის კოდექსით.

1. **წახალისების პროცედურა** განსაზღვრულია ბსუ-ს შინაგანაწესით, რომლის თანახმად:

სწავლასა და სამეცნიერო კვლევებში მიღწეული წარმატებისა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს **წახალისების შემდეგი სახეები:**

ა) მადლობის გამოცხადება (გამოცემა ფაკულტეტების დეკანების ან/და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება).

ბ) ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემა (ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობით ბრძანებას გამოსცემს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის ან სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის და სამსახურის ან სტუდენტთა თვითმმართველობის წერილობითი მომართვის საფუძველზე);

გ) ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა (გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით);

დ) ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობის სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა;

2. **სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი** დადგენილია ბსუ-ს შინაგანაწესით. დისციპლინური წარმოების საკითხს იხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

3. **დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:**

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს (ფაკულტეტის დეკანს) თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს შესაბამისი კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული ბსუ-ს გადაწყვეტილება.